საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის | № 369 1918 წ. სამშაბათი ოქტომბრის 29. № 369

ერთობა

მთავარი კომიტეტის ორგანო

ფასი 50 კაპ. ტფილისს გარეშე 60 კაპ.

სომხის ჯარმა დასტოვა და ჩვენმა ჯარმა დაიჭირა ქარინჯ-წაიერნის ხაზი. გუშინ ერევანში გაემგზავრა საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი ს. მდივანი. შვეციამ, დანიამ და შვეიცარიამ ფაქტიურად იცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა. კანცლერის სიტყვის შემდეგ რეიხსტაგმა ნდობა გამოუცხადა მთავრობას. რეიხსტაგმა მიიღო საკონსტიტუციო ცვლილებანი.

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ივანე, ძმა გარსევანი, შვილები ანა და სოფიო პეტრეს ძენი და ასულნი, რძალი ბარბარე იოსების ასული გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ მეგობართ და ნაცნობთ, რომ პარასკევს ოქტომბრის 25-ს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ეკატერინე (კატო) ზაზანაშვილისა

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე ახალი დროით. მისამართი: ვორონცოვის ძეგლთან მონუმენტის შესახვევი № 6 ცხედარს გამოასვენებენ სამშაბათს ოქტომბრის 29-ს ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში დილის 10 საათზე. დაკრძალვა მოხდება კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.

პავლე ფრანგიშვილი აუწყებს მეგობართ და ნაცნობთ რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ქ. ქუთაისში გარდაიცვალა მისი ძვირფასი მეუღლე

იულია გრიგოლის ასული ფრანგიშვილისა

ოთხშაბათს, ოქტომბრის 30-ს დილის 10 საათზე ტფილისში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი ქართველ კათოლიკეთა ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში (კათოლიკეთა ქ. № 4) 2253

ღრმად დამწუხრებულნი: დედამთილი ეფემია კანდინაშვილისა გიორგი და მარგალიტა სუმბათაშვილები ვერონიკე ლომთაძისა, მარო იუზბაშოვისა აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ქ. ქუთაისში გარდაიცვალა მათი საყვარელი და ძვირფასი რძალი

იულია გრიგოლის ასული ფრანგიშვილი

წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება ტფილისში ოთხშაბათს, ოქტომბრის 30-ს დილის 10 საათზე ქართველ კათოლიკეთა ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში (კათოლიკეთა ქ. № 4) 2253

ივანე და ნიკოლოზ ანდრიას ძენი, ნინო ბესარიონის ასული და დარია ვასილის ასული ყიფშიძენი აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ კვირას, ოქტომბრის 27-ს, უეცრივ გარდაიცვალა მათი ძვირფასი და

ანეტა ყიფშიძე

პანაშვიდები საღამოს 6 საათზე ეპარქიალურ სასწავლებლის ეკლესიაში (ანდრიას ქუჩა № 42) გამოსვენება ოთხშაბათს, ოქტომბრის 30-ს, წირვის შემდეგ, დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. 22.9

ბარბარე გიორგის ასული, გრიგოლი დავითის ძე და მათე გრიგოლის ძე შვილებით ლოლაძენი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველთა ძვირფასი რძალი და მეორეთა მეუღლე და დედა

ბარბარე ვასილის ასული ლოლაძისა

დაკრძალვა მოხდება სამშაბათს, ქ. გორში. 2250

ნინო გრიგოლის ასული და დავით დავითის ძე პაპკაძენი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ქ. გორში გარდაიცვალა

ბარბარე ვასილის ასული ლოლაძისა

დაკრძალვა მოხდება სამშაბათს, ქ. გორში. 2250

ღრმა მწუხარებაში მყოფნი ქმარი სტანისლავ კალატოზიშვილი, დედა ესმა ლევანის ასული მეიშვილისა, ძმები: ქრისტეფორე, ალექსანდრე, პეტრე ნიკოლოზი, დიმიტრი და დაი ელისაბედ აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობთ უდროოდ დაკარგვას ძვირფასი

მინა ილარიონის ასულის კალატოზიშვილისას

ცხედარს სამშაბათს საღამოს 5 საათზე მიხეილის საავადმყოფოდან გამოასვენებენ სადგურზე და იქიდან ქ. ოზურგეთში 1387

დომენტი პეტრეს ძე პაპიძე, იასონ სამარაღლონის ძე, ანიკო ყაულინის ასული, სანდრო, დათიკო, კოლო და ნიკა ტატიშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავ ნაცნობებს უდროოდ გარდაცვალებას პირველი ძვირფასის და დაუვიწყარის მეუღლის, მეორენი უსაყვარელის ასულის და მესამენი კი დაუვიწყარ საყვარელ დის

ვერიკა იასონ ტატიშვილის ასული პაპიძისას

დაკრძალვა მოხდება დღეს სამშაბათს, ოქტომბრის 29-ს, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე გამოსვენება სახლიდან (გროზნენსკი შესახვევი № 16) დილის 10 საათზე. 225

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი მშობლები მღ. ბაგრატი ივანეს ძე და დარია ივანეს ასული, და ნატალია ბაგრატის ასული ბარნაბიშვილები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ რომ ხუთშაბათს ოქტომბრის 18-ს, (ძვ. სტ.) სოფელ ქარელში ღვთისმშობლის ეკლესიის გალავანში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათი ძვირფასი და დაუვიწყარი შვილის და დის

თამარ ბაგრატის ასულის ბარნაბაშვილის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება 10 ს. პანაშვიდი 12 ს. 2255

ტფ. ქალთა საეპარქიო გიმნაზიის მეექვსე კლასის მოწაფენი აუწყებენ, რომ უეცრად გარდაიცვალა საყვარელი და დაუვიწყარი აღმზრდელი

ანა ანდრიას ასული ყიფშიძისა.

2254

ტფილისის ქალთა საეპარქიო გიმნაზიის პედაგოგიური საბჭო ღრმა მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ ამავ გიმნაზიის მასწავლებელ ქალის

ანა ანდრიას ასულის ყიფშიძის

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაცვალებას. მიცვალებულის წირვა და ანდერძი გადახდილ იქნება დღეს, სამშაბათს, ოქტომბრის 29-ს გიმნაზიის ეკლესიაში, ანდრიას ქუჩა № 42, ხოლო გასვენება კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. წირვის დასაწყისი დილის 10 საათზე. 2249

მღვდელი ივანე ალექსის ძე დავითაშვილი, მეუღლე მარიამით, შვილებით: თამარ, გოგია, ილია, ანდრო და ქეთევანი, სიძე ნ. ნასყიდაშვილით და რძლებით: ნადია და სოფიათი მწუხარებით აუწყებს ნათესავთ დის წულის

ანეტა ანდრიას ასული ყიფშიძის

უეცრივ გარდაცვალებას. 2267

თავზარდაცემული მეგობრები გამოუთქმელის მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას საყვარელი

ანეტა ყიფშიძის

უდროოდ გარდაცვალებას. 2260

გამწარებულნი ელენე და სანდრო (სანგანიძე) გძელიშვილები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს უეცარ გარდაცვალებას მათი უძვირფასესი, მოამაგე მეგობრის, სპეტაკ

ანეტა ყიფშიძისას.

2267

გულდათუთქულნი მეგობრები ლიზა ციცქიშვილი-მეიერი და კატო გველესიანი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს უდროოდ დაკარგვას უახლოესი მეგობრის ძვირფასი

ანეტა ყიფშიძისას.

2267

ქეთევან მიხეილის ასული და მარიამ კონსტანტინეს ასული ვაჩნაძენი აუწყებენ, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა დაუვიწყარი სიძე

მავრი მიხეილის ძე ყიფიანი.

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 8 ს. ალექსანდროვის ქ. № 56. გასვენება ოთხშაბათს ოქტომბრის 30-ს საღამოს 5 ს. დაკრძალვა ს. ქვიშხეთში. 2259

ოლგა კარლოს ასული და ელენე კონსტანტინეს ასული ყიფიანი გულითადი მწუხარებით აუწყებენ, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა, პირველის საყვარელი შვილი და მეორის—მეუღლე

მავრი მიხეილის ძე ყიფიანი.

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 8 ს. ალექსანდროვის ქ. № 56. გასვენება ოთხშაბათს ოქტომბრის 30-ს საღამოს 5 ს. დაკრძალვა ს. ქვიშხეთში. 2259

მწუხარებით გულდამწვარნი, მშობლები ბარბარე და ქრისტესია, მეუღლე თამრო, ძმები: ვანო და სტეფანე, დები: მარიამი და სონა, დისწული ნინო კიკნაძე სიძეები მიხეილ ძიძაძე და შაქრო ხახობაია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ხუციში

კოლა ქრისტესიას ძე გუთლიაშვილი.

მიცვალებულს გამოასვენებენ თავის ბინიდან ხუთშაბათს, ოქტომბრის 31-ს დილის 10 საათზე (ცხრამეტი თებერვლის ქუჩა 66) მიასვენებენ აჩნისხატის ეკლესიაში, წირვის შემდეგ დაკრძალვა პეტრე პავლეს სასაფლაოზე. პანაშვიდი ოქტომბრის 30-ს საღ. 5 საათზე 2252

სოსო ჩიტოშვილი, იოსებ თანდილაშვილი და კოლა სესიაშვილი, დამწუხრებულნი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ოქტომბრის 27-ს გარდაიცვალა მათი ძვირფასი ამხანაგი და მეგობარი

კოლა ქრისტესიას ძე გუთლიაშვილი.

მიცვალებულს გამოასვენებენ თავის ბინიდან ხუთშაბათს, ოქტომბრის 31-ს, დილის 10 საათზე (ცხრამეტ თებერვლის ქუჩა № 66) მიასვენებენ აჩნისხატის ეკლესიაში წირვის შემდეგ დაკრძალვა მოხდება პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. პანაშვიდი ოქტ. 30-ს საღამოს 5 ს. 2252

ქალ. გორში ოქტომბრის 27-ს, გარდაიცვალა ხან-მოკლე ავადმყოფობით

გრიგოლი (გრიშა) ლუარსაბის ძე ფურცელაძე

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გულდაწყვეტილი მოხუცებული დედ-მამა: მართა გრიგოლის ასული და ლუარსაბ ქაიხოსროს ძე ფურცელაძე; ძმები: ვასილ, ალექსანდრე და ვლადიმერ. დები: ნინო კიზარია, და მარიამ ლუარსაბის ასული მისკინოვისა; და სიძე ნიკოლოზ ისაკის ძე მისკინოვი. დაკრძალვა მოხდება სამშაბათს, ოქტომბრის 29-ს, ქ. გორში. პანაშვიდი ყოველ დღე წირვაზე. გამოსვენება დილის 10 საათზე ღვთისმშობლის ეკლესიაში. 2257

ტფილისი, ოქტომბრის 28.

ინტერნაციონალის როლი

მკითხველებს უეჭველია ახსოვთ, რომ რამდენიმე წლის წინად ზოგიერთ პოლიტიკურ მოღვაწეთა თაოსნობით ჰააგის კონფერენციას წარედგინა საქართველოს მემორანდუმი, რომელშიაც აღნიშნული იყო საქართველოს პოლიტიკური უფლებანი და თხოვნა ამ უფლებათა დაკმაყოფილებისა. მაშინ ეს თხოვნა უყურადღებოდ იქმნა დატოვებული. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. იმ დროს ძალა-უფლება ყველგან ხელთ ეპყრა აგრესიულად განწყობილ ბურჟუაზიას. ამ ელემენტს, რასაკვირველია, ვერ შეეძლო სათანადო ანგარიში გაეწია ინტერნაციონალური მოთხოვნილებებისთვის და დაეკმაყოფილებინა სამართლიანი და კანონიერი მოთხოვნილება ქართველი ერისა.

დღეს მდგომარეობა არსებითად შეცვლილია. ოთხი წლის საშინელმა ომმა წელში გასტეხა ყველა ქვეყნის გაბატონებული კლასები და ომისა და ზავის მესაჭედ ბევრგან თვით დემოკრატია გახადა. რა თქმა უნდა, ევროპის ბურჟუაზიული კლასები და ამერიკის იმპერიალისტები ჯერ კიდევ ძლიერადა ჰგრძნობენ თავს მაგრამ წინანდელთან შედარებით მაინც ყველგან იზრდება ძალა და მნიშვნელობა ინტერნაციონალური დემოკრატიისა.

ზავის ჩამოგდების წინა მომენტში ინტერნაციონალს აუცილებლად ისეთი მნიშვნელობა ექნება, რანაირიც არასოდეს არ ჰქონია. მისი ხმა უფრო თამამად გაისმის და ფრთებს შეაკვეცავს ბურჟუაზიის იმპერიალისტურ მადას.

ინტერნაციონალი ერთად ერთი ნამდვილი და ჭეშმარიტი დამცველი იქნება ერთა თვითგამორკვევისა და განთავისუფლებისა. ინტერნაციონალური დემოკრატიის ხელში ერთა თვითგამორკვევის პრინციპი ისეთივე თვალთმაქცური და იმპერიალისტური შინაარსის მატარებელი კი არ იქნება რანაირიც ბურჟუაზიის ხელში იყო, არამედ ჭეშმარიტი და რეალური. ინტერნაციონალი ერთა თვითგამორკვევის საკითხს ინტერნაციონალური სოციალიზმის ინტერესების თვალსაზრისით შეხედავს და ყოველს ერს გაუხსნის თავისუფალ ასპარეზს პოლიტიკური, ეკონომიური და ეროვნული განვითარებისას.

დღეს საქართველოსთვისაც შეიქმნა ახალი პირობები. საქართველოსაც ეძლევა საშუალება საერთაშორისო დემოკრატიის ოჯახში შევიდეს, როგორც თანასწორი წევრი ინტერნაციონალისა. ასის წლის პოლიტიკური მონობის შემდეგ განთავისუფლებული საქართველო, თავისი უაღრესად დემოკრატიული წეს-წყობილებით, წარსდგება ინტერნაციონალის წინაშე, და ჩვენ ღრმადა ვართ დარწმუნებულნი ამ ინტერნაციონალში იგი ჰპოვებს ერთგულსა და უანგარო დამცველს.

საქართველო თავისუფალია თავისუფალ საქართველოს უთუოდ ეყოლება ენერგიული დამცველი. საჭიროა მხოლოდ მივიყვანოთ ჩვენი გემი იმ ნავთსაყუდელთან, სადაც განთავისუფლებულ ერთა ბედი საბოლოოდ გამოიჭედება.

მთავრობაში

მიწათმოქმედების მინისტრმა მთავრობას წარუდგინა კანონ პროექტი, ყოფილ სამეფო გვარეულობის და ოჯახობის კუთვნილ მამულების, მიწებისა და უძრავ-მოძრავ ქონების საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად გამოცხადების შესახებ.

ხუთშაბათს, ოქტომბრის 24-ს ვერაგულად მოკლულ იქმნა ჯარისკაცის მიერ პოდპორუჩიკი,

ალექსანდრე ანტონის ძე წინამძღვრიშვილი

რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მშობლები ანა სოლომონის ასული და ანტონ სიმონის ძე წინამძღვრიშვილები, და მარიამ ანტონის ასულის წინამძღვრიშვილი და ნათესავები: ზიზილა ივანეს ასული და მიხეილ დოროთეოზის ძე წინამძღვრიშვილები, ანასტასია დგაიანი. წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება, სამშაბათს, ოქტომბრის 29-ს, ქვაშვეთის ეკლესიაში, დაკრძალვა იმავე დღეს წმ. ნინოს სასაფლაოზე. 2265

ოქტომბრის 24 ს ტრაღიკულად მოკლულ იქმნა ძვირფასი ამხანაგი, სასურსათო სამინისტროსთან არსებულ განსაკუთრებულ რაზმის

პოდპორუჩიკი

ალექსანდრე ანტონის ძე წინამძღვრიშვილი,

რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ამხანაგები: კაპიტ. უსტიევი, პოდპორ. თიგიშვილი, პრაპორშჩ. ზუბკოვი, გურიევიჩი, მოქალაქე მიხეილ ლიტკინი და ჯარისკაცნი. პანაშვიდი 1-ლ საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში დაკრძალვა მოხდება დღეს, სამშაბათს ოქტომბრის 29-ს წმ ნინოს სასაფლაოზე. 2258

დიდად დამწუხრებულნი ლევან უხუ, პაჰუ და ცუნუ ჟორდანიები, გოგოლა გოთუაძე და ვერა ჟორდანიასი შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი მეუღლის, მეორენი დედის და უკანასკნელნი სიდედრისა და ბებიას

სეო ჟორდანიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, ოქტომბრის 31 ს, ქალ. ლანჩხუთში წმ. გიორგის ეკლესიაში. 2256

მოწოდება

ოქტომბრის 12-ს დ. საჩხერეში ცეცხლისაგან დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტი ამით მიმართავს თავისუფალ საქართველოს გულშემატკივარ მოქალაქეთ არ დაიშურონ თავისი წვლილი უმწეო მდგომარეობაში მყოფთათვის, რომელთა რაოდენობა აღემატება ცისქვეშ, ღვთის ანაბარად დაყრილ 40-ს ოჯახს.

დაზარალდნენ აგრეთვე კულტურული დაწესებულებანი: თეატრი, სამკითხველო და კოოპერატივი. შემოწირულება მიიღება შემდეგი მისამართით: საჩხერე კომიტეტის თავმჯდომარეს ექიმ ჭოლოშვილს. 1388

ახალი კლუბი (საზამთრო შენობა)

ოთხშაბათს, ოქტომბრის 30-ს სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიულ გაზეთის „შრომა"-ს ფონდის გასამლიერებლად გამართული იქნება

1 სიმფონიური ორკესტრის კონცერტი

ა. ბ. ცენოვსკის გამგეობით

მონაწილეობას მიიღებენ ოპერისა და დრამის მსახიობნი: ბ.ბ. ზალიპსკი, ვრონსკი, საბინინი, მანა სკვარეცკაია, სპანიოლი, ევგენი კრგეევი, ზარდალოვი და სხ.

II. ამერიკული ბაზარი. კონფერანსიე სერ-ბრიფ.

რეჟისორთან: ა. ა. ცენოვსკი, ე. დ. საბინგოს. პასუხისმგებელნი გამგენი ქ-ნი მ. დორთ[illegible]ანიძე, ბ-ნი ი. აბაკელია. 2262

ცირკი „მოდერნი"

(ყოფილი ძმ. ევფიმოვებისა, მიხეილის ქუჩა)

დღეს, ოქტომბრის 29-ს, გაიმართება

დიდებული წარმოდგენა

მონაწილეობენ: კლოუნები თავისი პირუტყვებით, ჰაერის მეფეები, სამი ეშმაკი, ხინკოვსკები და მთელი დასი. დასაწ. 8 ს. მთავარი ადმინისტრატორი პ. ელიზაროვი. 2264

მოქალაქენო, გაერთიანდით!

ცენტრალური გაერთიანებული კომისია მოქალაქეთათვის პურის მისაწოდებლად დაარსებული, რომელიც შესდგება გერმანელთა სამეურნეო მისსიის წარმომადგენელისა, ქალაქთა კავშირებისა და ტფ. ქალაქის გამგეობისაგან ამით აცხადებს, რომ ნოემბრის დამდეგს მოქალაქეებს მიეცემათ სულზე ნახევარი გირვანქა პური დაახლოებით 1 მ. 50 კ. გირვანქა.

პური მიეცემა მხოლოდ სახლის კომიტეტებს, ან გაერთიანებულ კომიტეტებს იმ წესით, რომელიც შემუშავებული იყო ტფილისის ქალაქის გამგეობის მიერ.

პურის გაყიდვის ადგილები ჩამოთვლილია ყველა საუბნო სასურსათო კომიტეტში.

მოქალაქენო, დაარსეთ სახლის და სარაიონო კომიტეტები.

1382 ტფ ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება.

საინჟენერო-სატეხნიკო სექცია იწვევს სამხედრო სამსახურში უკვე წინანდელ სამსახურში ვადა შესრულებულ უნტერ-ოფიცერთ და ზედამდეგებს (ფელდფებელებს) საპიორთა და ტელეგრაფისტებთა შემდეგს პირობებზე: კანონით გარდა სახელმწიფო ულუფისა, ტან საცმელისა და ჯარისკაცის ჯამაგირისა დამატებით მიეცემათ კიდევ 250 მანეთი ყოველ თვე, ზემოხსენებულ პირთ. მსურველთ ევალებათ გამოცხადების დროს უსათუოდ წარმოადგინონ თავიანთ უწინდელი სამსახურის შესახებ საჭირო საბუთები; ვისაც ეს საბუთები არ ექნება, საქმსახურში მიღებული ვერ იქნება. დაწვრილებით ცნობების მისაღებად საჭიროა მიმართოთ ტფილისში საინჟენერო-სატეხნიკო სექციაში ყოფილი მთავარი შტაბის შენობაში სასახლის ქუჩაზე, ნაშუადღევის 2 საათიდან ყოველ დღე, გარდა კვირა და უქმე დღეებისა. 1375

პარლამენტის გარშემო

საქართველოს სენატი.

იუსტიციის მინისტრის ამხანაგის გრ. გველესიანის თავმჯდომარეობით შემდგარმა კომისიამ დაამთავრა საქართველოს სენატის დაარსებისათვის შედგენილ პროექტის უმთავრესი დებულებათა განხილვა. დებულებანიც დეტალურად შემუშავებულ იქმნა და გადაეცა მინისტრის ამხანაგს. ამ დღეებში შესდგება კომისიის უკანასკნელი კრება პროექტის საბოლოო რედაქციის განსახილველად რის შემდეგაც აღნიშნულ პროექტს იუსტიციის სამინისტრო მთავრობას გადასცემს პარლამენტში შესატანად.

საკოდიფიკაციო განყოფილება.

პარლამენტში მიღებულ კანონის თანახმად, იუსტიციის სამინისტროსთან არსდება საკოდიფიკაციო განყოფილება, რომელსაც ევალება შეჰკრიფოს მთავრობის განკარგულებანი და კანონები რესპუბლიკისათვის საერთო მნიშვნელობის ხასიათისა.

სომეხ-ქართველთა უთანხმოება

სანაინი. 26 ოქტომბერი. სომეხთა რაზმების კადნიერებამ და გაბედულად წინ წამოწევამ დიდად გაამწარა ჩვენი ჯარი. მოთმინების ფიალა ჩვენის ჯარისა აივსო 26 ოქტომბერს, როდესაც სომხის ჯარის ნაწილებმა ნეიტრალური ხაზი გადმოლახეს და სოფელ კორინჯის აქეთ რამდენიმე ვერსტის მანძილზე ჩვენებს ჩაესაფრნენ ჩვენის ჯარის მცირე რაზმი 6 კაცისაგან შემდგარი ერთი ტყვიის მფრქვეველითა და თოფებით ნეიტრალურ ხაზს აქეთ კორინჯის მხრისაკენ მდგარა. ჩასაფრებულებს დრო რომ შეურჩევიათ შეუტევიათ ჩვენებისათვის; შეტაკების დროს დაუჭრიათ ვინმე თუ არა ეს არ ვიცით ჯერ, მაგრამ ექვსივე თოფებითა და ტყვიის მფრქვეველით დაუტყვევებიათ. გენერალ გიორგი წულუკიძის განკარგულებით პოზიციაზე ადგილობრივ საქმეთა გამოსარკვევად იმავე დღესვე წავიდა პოლკოვნიკი ბ-ნი ჩხეიძე, რომელიც ამავე დღეს ღამის 10 საათზე დაბრუნდა. სარდლის წულუკიძის თავმჯდომარეობით ჯარის ნაწილების უფროსებს თათბირი ჰქონდათ და დაწვრილებით მოისმინეს მოხსენება საქმეთა ვითარების. საბჭომ განსაზღვრული გადაწყვეტილება გამოიტანა და მეორე დღეს ჩვენები შეუდგნენ მის შესრულებას ცატერნისა და კორინჯისაკენ რა მოხდა ჯერ ცნობები არა გვაქვს. ხოლო რკინის გზის ლიანდაგზე შეტაკება მოხდა მე-117 ვერსზე სად. კობერსა და კალაგერანს შუა დედება ჩაის ხიდზე. ხიდთან დაგვიჭრეს, დილის 5 საათი იქნებოდა ოქტომბრის 27, ორი ჯავშნოსანის ჯარის კაცი ნოე ჯორბენაძე და საგუბერნიო ბატალიონის შანიძის ასეულისა —რაჟდენ ბურჯანია სომხებს მოუკლეს რამდენიმე. არიან აგრეთვე დაჭრილებიც, მხოლოდ რაოდენობა მათი ვერ გავიგეთ. ჯავშნოსანმა სათანადო პასუხის გაცემის შემდეგ ჩვენი დაჭრილები სად. კობერში წამოიყვანა და მოემზადა გამეტებულის შეტევისათვის, რადგანაც სომხები უკვე ალაჰ ხუმრობდნენ და ძლიერი თოფის სროლით ჩვენებს წინააღმდეგობა გაუწიეს, და ჩვენის ტერიტორიიდან უკან დახევა არ ისურვეს ის იყო კიდევ მეტი სისხლი უნდა დაღვრილიყო, რადგანაც ჩვენები წინსვლას განაგრძობდნენ, ჩამოიარა სანაინში ტფილისის დეპუტაციამ. აქ იყვნენ სომხეთა საბჭოსა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელნი, რომელნიც წარუდგნენ სარდალს წულუკიძეს და სთხოვეს სამხედრო მოქმედების შეჩერება, და გამოსთქვეს იმედი მშვიდობიანად საქმის გამორკვევა გათავებისა. აქვე ადგილობრივ საქმის ვითარების შესასწავლად და გამოსარკვევად მოვიდა საგუბერნიო კომისარი შალვა მაღლაკელიძე. დელეგატები სარდალმა წულუკიძემ მიიღო მატარებელში და წავედით ადგილობრივ. შუადღის 12 საათი იქნებოდა, მოვიდა დედება ჩაის ხიდზე სომხეთა ჯარის უფროსი პოლკოვნიკი კორილკოვი, რომელმაც მოიტანა განკარგულება სომხეთა მთავრობისა, რომ სომხები დასცლიან კორინჯ-სა და ცატერის რაიონებს და გადავლენ იმ ხაზზე, რომელიც ჩვენსა და ოსმალეთის ჯარის შორის იყო დროებით დადებული. თუ ჩვენი ჯარი წინსვლელობასა და შეტევას შესწყვეტდა.

სომხეთა წარმომ დგენელმა თანხმობა განაცხადა აგრეთვე დატყვევებულთა და ტყვიის მფრქვეველის, თოფებიანად დაბრუნებაზე.

ჩვენი სარდალი დაკმაყოფილდა ამ პასუხით და მცირე ხანს თათბირის შემდეგ კობერიდან განკარგულებანი დაუგზავნა ჩვენს ნაწილებს ცატერისა და კორინჯის ნაწილები ჩაებარებინათ და იქ შეჩერებულიყვნენ ჯერ ჯერობით ასე მშვიდობიანად გათავდა ეს ინციდენტი და ვნახოთ რა იქნება მომავალში.

ტფილისის გუბერნიის კომისარი ბ-ნი შალვა მაღლაკელიძე, რომელსაც დავალებული ჰქონდა ჩვენი მთავრობისაგან ბორჩალოს მაზრაში წასვლა და გუბერნიის საზღვარზე სომხეთა და ქართველთა შეტაკების საქმის მთელი ვითარების შესწავლა და გამორკვევა ოქტომბრის 27 ღამის 10 საათზე საგანგებო მატარებლით ტფილისში დაბრუნდა. გუბერნიის კომისარი გუშინ წარუდგა რესპუბლიკის მთავრობას და წარუდგინა მოხსენება.

სანაინიდან სამხედრო მინისტრს გენერალი წულუკიძე დეპეშით შემდეგს აუწყებს: ოქტომბრის 26-ს ჩემის ბრძანებით ჯავშნოსანმა № 1-მა ზარბაზნის სროლა აუტეხა ბრბოებს, რომელთაც ეჭირათ ქარინჯის პირდაპირ მაღლობები ჯავშნოსანმა ბრბოები გაჰფანტა. ქარინჯის პირდაპირ მდგომ ჩვენს ნაწილებს ებრძანათ ამ სოფლის დაჭერა. ამ სროლაში მონაწილეობა მიიღო ჩვენმა ჯარმა, რომელიც მე-18 ვერსზე იდგა სროლის დროს დაიჭრა ჯავშნოსანის არტილერისტი ჯორბენაძე და ცხენოსან ასეულის ჯარის კაცი გურჯალიანი.

დილის 7 საათსა და 30 წუთს შესწყდა სამხედრო მოქმედება. მდგომარეობის გამოკვლევის შემდეგ სომხეთა დელეგაციის ერთი ნაწილი გაემგზავრა ყარაკლისში, სადაც იმყოფებოდა სომხეთა რაზმის უფროსი დრო, ვინაიდან დრო ავად იყო, ხიდთან ნეიტრალურ ნაწილზე მოვიდა პოლკოვნიკი კორილკოვი, რომელიც მეთაურობს სომხის ჯარს ქარინჯიდან რკინის გზამდე. კორილკოვმა გამოგზავნა სასწრაფო დეპეშის ასლი ოქტომბრის 26-ს დროს მიერ ხელმოწერილი, სადაც ნათქვამი იყო, რომ ქარინჯი და წათერნი ქართველი ჯარისთვის გადაეცათ და შეეტყობინებინათ მათი უფროსებისთვის ეს ამბავი ამ დეპეშის მიღების შემდეგ, მე ბრძანება გავეცი ყოველივე მტრული მოქმედება შეეწყვიტათ ჩვენებს და დაეჭირათ ქარინჯი და წათერნი, სადაც გავგზავნე 15 ჯარის კაცი და ორი ოფიცერი. დანარჩენ ჯარის ნაწილებს უბრძანე, შეგროვილიყვნენ სანაინში. რომელი ხაზით წავიდა სომხის ჯარი არ ვიცი, მაგრამ ვცდილობ გავიგო. მოვალედ ვსთვლი ჩემს თავს გაცნობოთ, ცხენოსან ასეულის კორძაიას და ჯავშნოსან მატარებლის ყველა წევრის ვაჟკაცობა, ხუხუნაშვილის მეთაურობით.

ქაჩაზნუნის დეპეშა.

ოქტომბრის 26-ს 6 საათზე ერევნიდან სამხედრო და გარეშე საქმეთა მინისტრებმა ქაჩაზნუნის შემდეგი დეპეშა მიიღეს:

თქვენი რადიო დეპეშის პასუხად, რომელიც ოქტომბრის 25 მივიღეთ, დაჩქარებით გატყობინებთ, ჩვენს ჯარს სასტიკად ვუბრძანეთ დაეჭირათ ის სადარაჯოები, რომელიც ოსმალოებმა დასტოვეს. ეს ბრძანება განმეორებულ იქმნა და განკარგულება გავეცით ჩვენ ჯარს დაეტოვებინა ქარინჯი და წათერნი, რომელიც მათ გაუგებრობით და თავდაცვის მიზნით დაიჭირეს კეთილ ინებეთ და თქვენც განკარგულება მოახდინეთ, რომ გამოწვეული უსიამოვნება შეწყვეტილ იქმნეს.

კონფლიქტის მშვიდობიანად მოსაგვარებლად, წინადადებას ვიძლევი, საზღვარზე შესდგეს ქართველ-სომხეთა კონფერენცია.

აშაგი სერალი.

ოქტომბრის 26. ოქტომბრის 25-ს, დილის 1 საათზე სომხებმა სასიკვდილოდ გაგვიმეტეს და პირველებმა გვესროლეს ჩვენ ქართველებს თოფი. სომხის ჯარმა, როგორც ეტყობა, არ მოუცადა დიპლომატიურის გზით, მშვიდობიან მოლაპარაკებით საქმის გადაწყვეტას. და ვერაგულად აუტეხა სროლა ჩვენს მოწინავე რაზმს კობერის ბაქანთან მარჯვნივ.

მთავრობის განმარტებიდან მკითხველებს მოეხსენებათ, რომ სომხის ჯარმა არამც თუ არ მიიღო ჩვენი წინადადება დაკავებულ ტერიტორიის დაცლის შესახებ, არამედ საგრძნობლად წამოიწია წინ, დაიკავა ახალი ხაზი ქარინჯნი მდინარე კამენკის ხაზიდან. ამით სომხის ჯარმა აიძულა გერმანელთა დარაჯები (ოცამე კაცი) ამ ადგილებიდან უკან წამოსულიყვნენ. მიუხედავად ამისა ჩვენმა მთავრობამ წინადადება გაუგზავნა სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას მშვიდობიანად გაეთავებიათ ინცინდენტი, რომ სისხლის ღვრა არ მოხდეს ორ მოძმე ხალხს შორის. ჩვენის ჯარის ხელმძღვანელნი ოქტომბრის 24 შეეცადნენ დაერწმუნებიათ მოწინააღმდეგენი დაეცალათ მათ ჩვენი მიწა წყალი, მაგრამ მათ უპასუხეს: ჩვენ მთავრობისაგან გვაქვს ნაბრძანები არამც თუ სად. შაგალი დავცალოთ ქართველებმა ქარინჯიც უნდა დასტოვოთ, და თქვენს საზღვრამდე უნდა დაიხიოთო. ასეთს კადნიერებაზე ჩვენმა ჯარმა მოწინააღმდეგეს სიდინჯით უპასუხა და სათანადო პოზიციების დაკავებით უცდიდა მთავრობის გადაწყვეტილებას.

ოქტომბრის 25-ს შუადღისას ბაქანკობერის დაახლოვებით მარჯვნივ ასე სამოცამდე ჩვენი ჯარის კაცი სადილისთვის ემზადებოდა. მოულოდნელად ყველას გასაოცებლად სომხებმა ჩვენებს სროლა აუტეხეს. მცირე მოწინავე რაზმი სწრაფლ გაიშალა და ისე გაბედულად შეუტია მოღალატეებს, რომ ერთი ციდა ადგილიც არ დაუთმო. სროლამ საათ ნახევარი გასტანა სროლის დროს მკლავში დაგვიჭრეს მიხეილ ბათიაშვილი და ორი ჯარის კაცი, რომლის ვინაობა ვერ შევიტყვე.

ჩვენს ჯარისკაცს გაჩეჩილაძეს დახმარებით, როგორც შევატყობინეს, დაუპატიმრებია სომხის ერთი ოფიცერის ჯარის კაცებისათვის რამდენიმე თოფი, და ექვსი მაუზერი დაუტოვებია და რამდენიმე ცხენი წაურთმევია. სომხების მხრივ არის ვინმე მოკლული ან დაჭრილი, ჯერ ვიცით. ბაქან კობერთან ორთქმავლით [illegible] ყოფილა მემანქანე ტიტვინიძე, რომელსაც ამბავი ჯარის უფროსებისათვის უცნობებია, სათადარიგო ღონისძიებათა მისაღებად ჯავშნოსანმა სასწრაფოდ წინ წაიწია და სათანადო ძალებმაც მიაშურეს ბრძოლის ადგილს შესატევად.

გერმანიის ამბები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

გერმანიის პრესის ცნობა. რეიჰსტაგის ოქტ 23-ს, სხდომაზე კანცლერის სიტყვის შემდეგ, რეიჰსტაგმა ნდობა გამოუცხადა მთავრობას 193 ხმით 52 წინააღმდეგ. 23 თავი შეიკავა. წინააღმდეგი იყვნენ კონსერვატორები და დამოუკიდებელნი. თავი შეიკავეს პოლონელებმა. მეორედ განხილვის შემდეგ მიიღეს საკონსტიტუციო ცვლილებანი უმრავლესობის პარტიის დამატებებით. კანონის ძალით მომავალში ომის გამოცხადება და ზავის შეკვრა უნდა მოხდეს რეიჰსტაგის და საკავშირო საბჭოს თანხმობით. ასეთივე ცვლილება შეიტანეს საკანონმდებლო სფეროში.

გერმანიის ცნობა. ოქტ. 25, ესპანიის ნოტის შესახებ, რომლითაც ესპანია მოითხოვს ჩაძირულ სავაჭრო გემების მაგიერ გერმანიის იმ გემების დათმობას, რომელიც ესპანიის ნავთსადგურებში სდგას „ნორდდეიტშე ალგემაინე ცაიტუნგი" სწერს: ესპანიის ნოტა გამოიწვია გემების სიმცირემ, რაც ცუდ მდგომარეობაში აგდებს სახელმწიფოს. გერმანია თანაუგრძობს ესპანიის ასეთ მდგომარეობას და ამიტომ გარანტია არის, რომ ორ სახელმწიფოთა შორის მეგობრული მოლაპარაკება სწარმოებს და მომავალშიც ასეთი დამოკიდებულობა იქნება. უნდა აღვნიშნო აგრეთვე ისიც, რომ ესპანიას გერმანიის გემები კი არ დაუპატიმრებია, არამედ გერმანია მოსურნეა დაეხმაროს ესპანიას და შეძლებას აძლევს ესპანიის მთავრობას მოიხმაროს ისინი აუცილებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

გერმანიის რადიოს ცნობა. ოქტომბრის 27. უმრავლესობის პარტიათა თათბირის შემდეგ, საქსონიის პარლამენტში, სოციალ-დემოკრატებმა რომელთაც დანარჩენი პარტიებიც მიემხრენ, განაცხადეს, რომ მათ სურთ ახალ მთავრობასთან მუშაობა. შინაგან საქმეთა მინისტრები ბელკი და ზეიდევიცი უკვე გადადგენ. ოფიციალური ცნობაა, რომ ხმელთა შუა ზღვაში გერმანიის წყალქვეშა ნავებმა ჩასძირეს მტრის 42,000 წყალწყვის გემები. რამოდენიმე ყუმბარით დააზიანეს აგრეთვე წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ მებრძოლი გემი. ერთ გემს ვიდრე ნაღმი მოხვდებოდა, ცეცხლი გაუჩნდა, აფეთქდა და ჰაერში ავარდა. ნავების და ტრანსპორტის მიმოსვლა ეგეის ზღვაში და ტუსინსსა და იტალიის შუა შეჩერებულია. თავის უკანასკნელ სხდომაზე, შაბათს, რეიჰსტაგმა ხმის უმრავლესობით მიიღო მთავრობის წინადადება კონსტიტუციის შეცვლის შესახებ და აგრეთვე უმრავლესობის დამატებით შესწორებანი წინააღმდეგ წავიდნენ კონსერვატორები და გერმანიის ფრაქციის რამოდენიმე წევრი. დამოუკიდებელ სოციალ დემოკრატებმა შემოიტანეს წინადადება: კონსტიტუცია ავალებს რეიჰს.-კანცლერს წელიწადში ერთხელ მაინც წერილობითი მოხსენება გააკეთოს გერმანიის სახელმწიფოს და მის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, და თუ რეიჰსტაგმა მოითხოვა წარმოადგინოს აგრეთვე საბუთები. წინადადება გადაეცა კომისიას, რომელიც კონსტიტუციას იმუშავებს. გერმანიის იმპერატორმა თხოვნის თანახმად გაანთავისუფლა თანამდებობიდან გენერალ-კვარტიმეისტრ ლიუდენდორფი და უბრძანა ქვედა-რეინის პოლკს № 39, რომლის უფროსად დიდხანს იყო ლიუდენდორფი, გენერალ ლიუდენდორფის პოლკის სახელწოდება ატაროს.

საქართველოს პარლამენტი

(საგანგებო სხდომა)

ოქტომბრის 26

საღამოს 7 საათზე იმართება საგანგებო სხომა იმ კონფლიქტის გამო, რომელსაც ადგილი აქვს საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკებს შორის.

მთავრობის სახელით ვრცელი მოხსენება წაიკითხა შინაგან საქმეთა მინისტრმა ბ. ნოე რამიშვილმა. საქართველოს მთავრობამ ყოველი ღონე მიიღო და დღესაც იღებს, რომ ორ მეზობელ რესპუბლიკის კონფლიქტს მშვიდობიანი გზით მოეღოს ბოლო უკანას-

კნელი სამშვიდობო ნოტა გაეგზავნა სომხეთის პრემიერს ქაჯაზნუნს ოქტომბრის 23-ს, პასუხი კი ჯერ-ჯერობით არ მოსულა.

სომხეთის სატელეგრაფო აპარატი, ალბად, მარსის სამსახურშია გართული, რომ სამშვიდობო ნოტებისათვის არ სცალიან.

საქართველოს სამხედრო მინისტრი გრ. გიორგაძე კარგად გადმოგვცემს ქართველი ერის შეხედულებას ომიანობასა და მშვიდობიანობაზე; საქართველო ნეიტრალური სახელმწიფოა, ის ომის წინააღმდეგია; მაგრამ ის ყოველთვის მზად არის თავისი თავისუფლება და დამოუკიდებლობა უზრუნველჰყოს. ამ მოძღვრებაზე იღზრდებოდა ჯარი და ეხლაც იღზრდება. ის მხოლოდ მაშინ აიღებს ხმალს, როდესაც საქართველოს განსაცდელი მოელისო.

მინისტრების მოხსენებათა შემდეგ ლაპარაკობენ ფრაქციათა წარმომადგენელნი. ყველა ფრაქცია იწონებს მთავრობის მიერ აღებულ გეზს და მოუწოდებს მას ბოლომდე ამოსწუროს სამშვიდობო ზომები და მხოლოდ ამის შემდეგ გასცეს სათანადო „უქაზი“.

მთავრობის ზომებს იწონებს ის ფრაქციაც, რომელიც ჯერ კიდევ ნორჩია ჩვენს პარლამენტში და ჯერ გამორკვეულა, თუ სად იმყოფება. „დაშნაქცუტუნი“-ს ფრაქციის წარმომადგენელი ტერ-ავეტისიანცი ჩუმი პათოსით აცხადებს: ჩვენი პარტია მუდამ იყო დამცველი დემოკრატიისა, და სომხის დემოკრატია ფიქრობს ისევე, როგორც საქართველოს დემოკრატია—მას ერთად ერთ გზად მიაჩნია გზა მშვიდობიანობისა და კეთილ-მეზობლური განწყობილებისა. ამ ორ ერს შორის მეგობრობა არ დაირღვევა—ამისათვის ხომ საკმაო ზომებს იღებს საქართველოს მთავრობა: „სამი დღეა განუწყვეტლივ ბჭობს და თათბირობს საქართველოს მთავრობა, რომ დაეხმაროს **თქვენს მთავრობას აქ და ჩვენსას „იქ“-ო**.

მართალია, სამი დღეა ბჭობს და თათბირობს საქართველოს მთავრობა, მაგრამ სწორედ სამი დღეა, რაც ერევნის ტელეგრაფი მოიშალა.

„თქვენს მთავრობას აქ და ჩვენსას იქ“. ამას აცხადებს საქართველოს პარლამენტის წევრი და, მაშასადამე, საქართველოს ქვეშევრდომი, ივ. გომართელის კითხვაზე—„საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რას ჰფიქრობენ დაშნაქცუთიუნის პარტიის აქ მყოფი წევრები მომხდარ კონფლიქტზეო“.

ივ. გომართელმაც მიიღო პასუხი:

„თქვენს მთავრობას აქ და ჩვენსას იქ“.

კრების დასასრულს საზეიმო ცნობებს აქვეყნებს მინისტრი ნ. რამიშვილი ბერლინიდან ჩვენი წარმომადგენლისაგან ცნობები მოვიდა, რომ ნეიტრალურმა სახელმწიფოებმა შვეციამ, და დანიამ იცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა, შვეიცარიამ თანაგრძნობის ნოტა გამოუგზავნა ბერლინში ჩვენს წარმომადგენელს, ხოლო ინგლისსა და საფრანგეთს ნოტები გაეგზავნა. უკანასკნელთა წარმომადგენელნი ნორვეგიაში სრული თანაგრძნობით შეხვდნენ ამ ნოტას და უკვე გადასცეს იგი თავის მთავრობებს

მთავრობის მოხსენება

მინისტრი ნ. რამიშვილი. მთავრობის დავალებით იმ კონფლიქტის შესახებ, რომელსაც საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკებს შორის აქვს ადგილი, მაქვს პატივი მოგახსენოთ შემდეგი:

მთავრობას ცნობა მოუვიდა, რომ ოქტომბრის 18-ს სომეხთა ჯარის მიერ დაკავებულ იქმნა ტერიტორია სასადღრო ხიდიდან ვიდრე სად. კობერამდე. დაკავება ამ ტერიტორიისა მოხდა საქართველოს მთავრობის დაუკითხავად. პირიქით, საბუთი გვაქვს, რომ ეს მოხდა სომხეთისა და ოსმალეთის შეთანხმებით ყოველ შემთხვევაში, ასეთი იყო განცხადება სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენლის ჯამალიანისა ჩვენს საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგთან. თქვენთვის გასაგები იქნება ის აღშფოთება, რომელიც გამოიწვია მთავრობაში ამ მომხდარმა ფაქტმა.

როდესაც მოსაზღვრე სახელმწიფო გადადგამს ნაბიჯს, რომელიც ჩვენს ინტერესს ეხება, ეს უნდა მოხდეს თუ ჩვენთან შეთანხმებით არა, ჩვენთან გაზიარებით მაინც. არც ერთი, არც მეორე პირობა დაცული არ იყო.

ვინაიდან ტფილისის გუბერნია ჩვენი უდავო ტერიტორიაა, მთავრობამ აუცილებლად დაინახა მიემართა სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენლისათვის განსაკუთრებული ნოტით: „საქართველოს მთავრობა მოსურნეა სადავო საკითხები გადასჭრას ურთიერთშორის შეთანხმებით სომხეთის მეგობრულ რესპუბლიკასთან, და სანამ ასეთ შეთანხმებას ადგილი არა აქვს, სომხის ჯარის შემოსვლა საქართველოს საზღვრებში ჩაითვლება, როგორც უკიდურესი მტრული განწყობილება საქართველოს მთავრობის საქართველოს რესპუბლიკის და ქართველი ერის მიმართ“. ამ ნოტაზე ჩვენ მივიღეთ პასუხი, სადაც ნათქვამი იყო, რომ სომეხთა დიპლ. წარმ. ჯამალიანი გადასცემს ნოტას სომხეთის მთავრობას და იგი სურვილს გამოსთქვამდა, რომ მუდმივი ლტოლვილება ორივე მთავრობისა იყოს შერიგებით გადაჭრა სადავო საკითხებისა.

მიუხედავად ამისა, დღემდის სომხეთის რესპუბლიკისაგან აუცილებელი ნაბიჯები ამ მხრით ჯერ-ჯერობით გადადგმული არ არის.

როდესაც ჩვენთვის აშკარა შეიქმნა რომ სომხის ჯარმა არა თუ საზღვარი გადალახა, არამედ დაიკავა ის ადგილი, რომელიც წინად ჩვენ მიერ იყო დაჭერილი, საქართველოს მთავრობამ გაგზავნა ჯარი და დაავალა მიეღო ყოველი ზომა საქართველოს საზღვრების დასაცავად ჯავშნოსანი მატარებლის უფროსი ოქტომბრის 20-ს მიუახლოვდა ს. კობერს და ულტიმატუმი წარუდგინა სომხის ნაწილებს დაეცალათ ეს ტერიტორია. სომხის ჯარმა ეს შეასრულა და ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ მდგომარეობა წესიერ კალაპოტში დვებოდა და საბუთი გვქონდა გვეფიქრა, რომ მშვიდობიანი გზით დავამთავრებდით საქმეს ასეთ ჩვენს იმედს კიდევ მეტი საფუძველი მიეცა, როდესაც ოქტომბრის 22-ს მივიღეთ ქაჯაზნუნის დეპეშა, რომელშიაც ის იუწყებოდა რომ საქართველოს ჯარის უფროსებმა ნოტა წარუდგინეს სად. შაგალის დაცლის შესახებ და რომ სომხის ჯარს ნაბრძანები აქვს არ დასცალოს აღნიშნული სადგური. ქაჯაზნუნი წინადადებას გვაძლევდა გავჩერებულიყავით ჩვენ საზღვარზე და არ მოგვეთხოვა ის ადგილები რომელიც წინად ოსმალოების მიერ იყო დაჭერილი, ხოლო საზღვრების საკითხი მშვიდობიანის გზით გადაჭრილიყო.

საქართველოს მთავრობა დასთანხმდა ქაჯაზნუნის წინადადებას და უბრძანა ჩვენს ჯარს თავის ადგილზე გაჩერებულიყო, და მხოლოდ იმ შემთხვევაში მიეღო საჭირო ზომები, თუ სომხის ჯარი წინ წაწევას შეეცდებოდა.

მით უმეტეს მოულოდნელი იყო, შემდეგი ცნობა, რომელიც ოქტომბრის 23-ს მიიღო მთავრობამ: სომხის ჯარმა ქერინჯის დაცლა მოითხოვა და ამის შემდეგ ძალით დაიპყრო ახალი ხაზი ქერინჯ წათერი, რითაც გერმანელთა სადარაჯო აიძულეს უკან წასულიყო. ამავე დროს დაიწყო მღელვარება სანაინ-შულავერის რაიონში.

ამიტომაც მთავრობამ საჭიროდ დაინახა განსაკუთრებული ნოტით მიემართა ერევნის მთავრობისათვის. საქართველოს მთავრობა ამ ნოტაში აუწყებს ჯამალიანს მომხდარ ამბავს და დასძენს: „საქართველოს მთავრობამ განიხილა შექმნილი მდგომარეობა და გაცნობებთ თქვენ, რომ თუ სომხის ჯარი ქერინჯ-წათერის ხაზს გადალახავს, ის ჩასთვლის ამას სომხების მხრივ ახდილ სამხედრო მოქმედების დაწყებას და ამის შემდეგ სომხებს დაეკისრებათ პასუხისგება ორივე რესპუბლიკისათვის დამღუპველ შედეგებისა“. ეს ნოტა ჯამალიანმა გაუგზავნა სომხეთის მთავრობას ოქტომბრის 23-ს და პასუხი ჯერ-ჯერობით არ მოსულა. დეპეშების გზავნა, ამბობენ, გაძნელებულიაო.

ეს ნაბიჯი, რომელიც გადადგეს სომხებმა აგრესიული ნაბიჯია და ეს მოითხოვდა საქართველოს მთავრობისაგან გადაჭრილ ნაბიჯს. საქართველოს მთავრობამ გამოაცხადა, რომ იგი მოსურნეა მშვიდობიანი გზით გადაჭრას სადავო საკითხები და ამავე დროს მზად არის დაიცვას საქართველოს საზღვრები; ამიტომ მან დაადგინა: გამოცხადდეს სამხედრო წესები ნავთლუღიდან ვიდრე საზღვრამდე, შესწყდეს მატარებლების მიმოსვლა გარდა სამხედრო მატარებლებისა და შეწყდეს მიცემა ბონებისა, რომელიც შეთანხმების ძალით უნდა მიიღოს სომხეთის მთავრობამ

ასეთი არის მოკლედ ის ზომები, რომელიც მთავრობამ მიიღო.

მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ გავიდა ორი დღე, დღეს მესამეა, ჯერ-ჯერობით იმ ნოტაზე, რომელიც გადასცა სომხეთის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა ჯამალიანმა, გადაჭრილი პასუხი არ მიგვიღია სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელმა გაგზავნა ერევანში თავისი წარმომადგენელი და სთხოვა ეპასუხნათ ნოტაზე. ერევანში გაემგზავრნენ პარტიათა წარმომადგენელნი, რომ ხელი შეუწყონ მშვიდობიანი გზით კონფლიქტის მოგვარებას.

ტფილისის გუბერნია ჩვენ მიგვაჩნია სავსებით უდავო ტერიტორიად და აქ მე გაკვრით აღვნიშნავ, რომ ერთი ნაწილი პრესისა ილაშქრებს მთავრობის წინააღმდეგ და საბუთად მოჰყავს ერთა თვითგამორკვევის პრინციპი ეს პრინციპი იმას კი არ მოითხოვს, რომ სახელმწიფოს გამოეყოს რომელიმე სოფელი. ეს რომ ასე იყოს, ელზას-ლორენის საკითხი სხვა ხასიათს მიიღებდა.

როგორც ისტორიული, ისე დემოკრატიული პრინციპით საჭიროა ეს საკითხი გადაიჭრას ისე, რომ ტფილისის გუბერნია აღიარებულ იქნას უდავო ტერიტორიად.

საქართველოს დემოკრატიული მთავრობა გადაჭრით აცხადებს, რომ ყოვლად შეუძლებელია საკითხი საზღვრების შესახებ გადაჭრილ იქმნას იარაღის საშუალებით. ეს მხოლოდ გააძლიერებს მეხამეს, რომელსაც ჰსურს მოდავეთა დასუსტება იმპერიალისტური მიზნებისათვის გამოიყენოს. ამიტომ საქართველოს მთავრობა აცხადებს, რომ ის მომხრეა შეთანხმების გზით გადაიჭრას საკითხი; რომ ყოველი საკითხი საზღვრების შესახებ გადაჭრილ იქმნას არბიტრაჟის საშუალებით.

მთავრობა იმედოვნებს, რომ მეორე მხარე მოგვცემს საშუალებას ეს კონფლიქტი მორიგებით გადავწყვიტოთ, რათა ორივე დემოკრატიას საშუალება მიეცეთ მეგობრული ცხოვრება განაგრძონ (ტაში).

სამხედრო მინისტრის სიტყვა.

სამხ. მინისტრი **გრ. გიორგაძე.** მოქალაქენო! დღიდან ჩვენი არსებობისა, ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, ჩვენ ალვიარეთ, რომ საქართველო ნეიტრალური სახელმწიფოა. მაგრამ ჩვენი თავისუფლება და დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს. და ამ მოძღვრებაზე ვზრდიდით და ვზრდით იმ ჯარს, რომელიც ეხლა საზღვარს იცავს. ამ ჯარმა უნდა დაიცვას საქართველოს რესპუბლიკა, ქართველი ერი და რევოლიუციის მონაპოვარნი (ტაში). ამ ჯარმა ხელთ უნდა აიღოს ხმალი, როდესაც ჩვენს სახელმწიფოს განსაცდელი მოელის.

როდესაც ჩვენდა დაუკითხავად, ჩვენთან შეუთანხმებლად და ოსმალეთთან მოლაპარაკებით ჩვენი ის ხაზი, რომელიც ოსმალეთს ეპყრა, სომხის ჯარმა დაიკავა, ჩვენ საბუთი გვქონდა ომი გამოგვეცხადებინა. მაგრამ ჩვენ ეს არ ვქენით და წინადადება მივეცით მათ დაეტოვებინათ დაჭერილი ადგილი და მშვიდობიანი გზით გადაგვეჭრა სადავო საკითხი.

როდესაც სომხების ჯარმა საზღვარი გადმოლახა და კობერი დაიკავა, ჩვენ საბუთი გვქონდა ომი გამოგვეცხადებინა ჩვენ ეს არ ვქენით და შევეცადეთ მშვიდობიანი გზით განვვეგრძო საქმის მოგვარება.

როდესაც ქერინჯი და წათერნი თაიკავეს სომხებმა, ჩვენ ეს შეგვეძლო ომის გამოცხადებად ჩაგვეთვალა, მაგრამ ჩვენ კვლავ განვაგრძეთ ჩვენი სამშვიდობო პოლიტიკა.

სანამ ყველა სამშვიდობო ზომას არ ამოვსწურავთ, მანამდის ჩვენ არ უბრძანებთ ჯარს იარაღი აიღოს ხელში

მაგრამ აქ არის ერთი გარემოება, რომელსაც პარლამენტმა უნდა ყურადღება მიაქციოს:

როდესაც ჩვენი ჯარი ერთი მხრით მიდიოდა, მეორე მხრით მას სროლას უტეხდნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ შეიარაღებული მცხოვრებლები ეხმარებიან სომხის ჯარს. შუაგულ ბორჩალოში მცხოვრებლებმა აუტეხეს სროლა ჩვენ ჯარს. ასეთ პირობებში უნდა ახსოვდეთ. რომ მოვეპყრობით ისე, როგორც აჯანყებულ მოქალაქეთ და მკაცრ სამხედრო ზომებს მივიღებთ.

ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ, რომ კონფლიქტი მშვიდობიანი გზით მოვსპოთ. ეს ერთად-ერთი მისაღები გზაა. და მე ბედნიერი ვიქნები, თუ არ გავსცემ უქაზს, რომ ჯარმა ბრძოლა დაიწყოს (მქუხარე ტაში).

ფრაქციათა წარმომადგენლების განცხადებანი.

მთავრობის განცხადების შესახებ სიტყვა ეძლევათ ფრაქციათა წარმომადგენლებს

რ. არსენიძე (ს.-დ.) როდესაც ევროპაში ზავის სხივები ანათებს, ჩვენში ახალ ომისათვის ემზადებიან. დიდ, მძლავრ ერს თუ შეუძლიან ომის ატანა, პატარა ერი კი ხდება მსხვერპლი იმ მესამისა, რომელიც მივა და დაეპატრონება მას. პატარა ერები მოქმედებენ არა თავისი სურვილით, არამედ მესამის ხელის წყალობით, როგორც გონება-დაბნეულნი.

საქართველოს მთავრობას არ დაუკლია ცდა, რომ მშვიდობიანი გზით მოეგვარებინა საკითხი. მე კიდევაც მაკვირვებს ის თავდაჭერილობა, რომელიც გამოიჩინა მთავრობამ. თვით იმპერიალისტური სახელმწიფონიც 24 საათის წინ ატყობინებენ ომის გამოცხადებას, და როდესაც სომხები გარედან თავს ესხმიან მოულოდნელად და შეუტყობინებლად, ჩვენი მთავრობა მაინც მშვიდობიან გზას ადგია. ასეთი თავდაჭერილობაც გამოიჩინა ჩვენმა ჯარმა ეს დემოკრატიული ჯარი, სჩანს, ღირსია იმ დემოკრატიული მთავრობისა და დემოკრატიული წყობილებისა.

მაგრამ ომისა და ზავის საკითხი არ არის ერთი მხრის საკითხი მეორე მხარე, სომხეთი, კი ჯერ ჯერობით პასუხსაც არ იძლევა ჩვენს ნოტებზე. როდესაც ჯარი იგზავნებოდა საზღვარზე მაშინ ტელეფონიც იყო და ტელეგრაფიც ხოლო როდესაც სამშვიდობო დეპეშაა გაგზავნილი, მაშინ არც ტელეფონია, არც ტელეგრაფი (ტაში).

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ იქითა მხრითაც ვპოვებთ დემოკრატიის გამოძახილს და მშვიდობიანი გზით მოვაწესრიგებთ საქმეს. ხოლო უნდა ახსოვდეთ, რომ ვინც გაილაშქრებს დემოკრატიის წინააღმდეგ, სულ ერთია ვინც უნდა იყოს ამ ფარაჯის ქვეშ, დემოკრატია მედგრად შეებრძოლება მას (ტაში).

ჩვენ სავსებით მხარს დაუჭერთ ყოველ იმ ზომას, რომელიც გადადგმული იქნება ხალხის დაცვისათვის.

შ. ნუცუბიძე (ს.-ფ.) ბატონებო! ძნელია იმ საკითხზე ლაპარაკი, რომელიც ჩვენ წინ სდგას, რადგან იგი შეეხება იმ კეთილ-მეზობლური განწყობილების დარღვევას, რომელიც დღემდის სომეხ-ქართველთა ურთიერთობას ახასიათებს და. ქართველი ერი მუდამ მეგობრულის თვალით უცქერდა სომხის ერს და არ უღალატა ერთხელ აღებულ ხაზს მაშინაც კი, როდესაც ოსმალთა შემოსევის გამო, თვითონაც უკიდურეს გასაჭირს განიცდიდა. მიუხედავად თავისი უმწეო მდგომარეობისა, მან თავის ქოხში ჰპოვა კუთხე განადგურებულ სომხის ერის გადმოხვეწილ შვილებისათვის. დღესაც საქართველოს მიდამოები სავსეა სომეხ ლტოლვილებით და მათ მიმართ ქართველი ერი ძველი სტუმრის მოყვარეობის გზას ადგია. ასეთ პირობებში სრულიად მოულოდნელი და გაუმართლებელია სომხების ანუ უკეთ მისი პოლიტიკური მესვეურების ნაბიჯი. შეუძლებელია ამის მიზეზი თვით სომხის ერში, დემოკრატიაში ვეძიოთ; საეჭვოა, რომ მისთვის ასეთი პოლიტიკა ხელსაყრელი იყოს. სომხის პოლიტიკოსები საკუთარ დემოკრატიის ინტერესებს, სჩანს, უფრო ნაკლებ ანგარიშს უწევენ, ვიდრე გარედან ნაკარნახებს

ჩვენი დამოუკიდებელი ცხოვრების მოწინააღმდეგებს ჯერ მაშინ, როდესაც ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის საკითხი ისმოდა, ერთი არგუმენტი მოჰყავდათ: ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა დასაწყისი იქნება ეროვნული შუღლის გაღრმავების და ხოცვა-ჟლეტისა. დღემდის, მიუხედავად მრავალგვარ მძიმე პირობებისა, ამიერკავკასიის ერებმა უნიადაგოდ დასტოვეს ეს არგუმენტი. იმედი გვქონდა ისე შევსძლებდით მთელი ისტორიული ქარტეხილის დაბოლოებას, რომლის მონაწილენიც ჩვენ ვართ, რომ აღნიშნული არგუმენტი არ გამართლდებოდა. საუბედუროდ, ასე არ მოხდა. სომხის პოლიტიკოსებმა დაარღვიეს არსებული სოლიდარობა. ქართველი ერი თავისუფალია ისტორიის წინაშე პასუხისმგებლობისაგან. საქართველოს მიზანი იყო ოსმალთა შემოსევისაგან დაეცვა თავისი ტერიტორია, რომელშიდაც ტფილისის გუბერნია უეჭველად უნდა შესულიყო. ბორჩალოს მაზრის მიმართულებით მან ეს შესძლო და გადაარჩინა უბედურებას.

მთავრობამ დაგვიმტკიცა თავისი ზომებით, რომ ის ღვიძლი შვილია ქართველი ერის ტრადიციების.

საჭიროა დაიკეტოს ჩვენი საზღვრები და გადაიჭრას ლტოლვილთა საკითხი: ჩვენს ქვეყანაში ბევრი არის სომეხთა ლტოლვილი, რომელთაც შეძლების და გვარად ვინახავთ. დღეს როდესაც სომხებს არ სურთ მეგობრული კავშირი ჩვენთან, საჭიროა გადაიჭრას ლტოლვილთა საკითხი.

ეროვნულ-დემოკრატები მთელ თავის ძალას მოანდომებენ, რომ მთავრობას დაეხმარონ.

(დასასრული იქნება)

მოკავშირეთა მისიების ტფილისში დაბრუნება

როგორც ვწერდით მთავრობამ ნება დართო საფრანგეთის, ინგლისის და ამერიკის მისიების წარმომადგენლებს ტფილისში ჩამოსვლისა. ამ მისიებმა რამოდენიმე თვის წინად დასტოვეს ტფილისი და კავკასიაში გაემგზავრნენ საქართველოს სამხედრო გზით. კავკასიაში ბოლშევიკებმა მოჰკლეს ინგლისის მისიის მეთაური მაიორი პაიკი, ხოლო ამ მისიათა დანარჩენი წევრები დატყვევებულ იქმნენ ციხეში. ბოლო დროს კი სპარსეთის საკონსულოს შეცადინეობით ისინი განთავისუფლდნენ. მისიებმა გადაწყვიტეს ისევ ტფილისში დაბრუნება და აქ დარჩენა იმ დრომდე, სანამ შესაძლებელი იქნება მათი სამშობლოში გამგზავრება.

საქართველოს მთავრობამ მათ ნება დართო ტფილისში ჩამოსვლისა და აღუთქვა მათ პირადი და ქონებრივი გარანტია.

ახალი ამბავი

✦ **საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება.** ევროპის სახელმწიფოებმა: შვეცია, დანია და შვეიცარიამ ფაქტიურად აღიარეს დე იურე საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა. შვეიცარიაში უკვე დაინიშნა საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი.

✦ **საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი ერევანში** გუშინ ერევანში გაემგზავრა საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი ბ-ნი ს. მდივანი.

✦ **მინისტრის ავადმყოფობა** შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი ავად გახდა. მის თანამდებობას ასრულებს მინისტრის ამხანაგი [illegible].

✦ **ბინის გაჩხრეკა** ოქტომბრის 26-ს საგანგებო რაზმის უფროსმა გაჩხრიკა ექიმ ალექსიძის ბინა სადაც ოთხი უთი სახაზინო საფთიაქო ხელსაწყო აღმოაჩინა.

✦ **დატუსაღება** საგანგებო რაზმმა დაატუსაღა არუთინ ვანიანცი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ აგიტაციისთვის.

✦ **ლატარია** ლატარიის გამგეობამ ჩოხატაურში გაგზავნა 1000 მომგებიანი ბილეთი.

— სამტრედიაში გაიგზავნა 600 მომგებიანი ბილეთი.

— ოზურგეთისა და ლანჩხუთის რაიონში სოც.-დემ. ორგანიზაციებს გაეგზავნა 1000 ბილეთი.

✦ **სამოსამართლო ტერმინოლოგია.** იუსტიციის მინისტრის ამხანაგის გრ. გველესიანის თავმჯდომარეობით შედგა კომისია, რომელსაც დავალებული აქვს, სასწრაფოდ შეჰკრიბოს და შეიმუშაოს სამართლის ქართული ტერმინოლოგია, რაიც უნდა დაიბეჭდოს და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს სამოსამართლო დაწესებულებებს და მოსამართლეებს. აღნიშნულ კომისიაში მოწვეულნი არიან ქართული ენის კარგად მცოდნენი.

✦ **ერობა.** ქუთაისის საერობო ყრილობა დამთავრდა ხმოსანთა პირველ სამაზრო ყრილობისათვის აირჩიეს გამგეობა

✦ **გაჩხრეკა** ოქტომბრის 28-ს საგანგებო რაზმის უფროსმა გაჩხრიკა ნოტარიუს კარაკაშის საწყობი და აღმოაჩინა სხვა და სხვა მედიკამენტები და საფთიაქო ქირურგიული ინსტრუმენტები

✦ **ლექცია.** ნაძალადევში დღეს ოქტომბრის 2[illegible]-ს ნაძალადევის თეატრში სახალხო უნივერსიტეტის ლექტორები ეჭ. ტურაშვილი წაიკითხავს ლექციას „პოეზიაზე“. ამხ. ქრ. რაჭველ შვილი „საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება მე-19 საუკუნეში“.

✦ **მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევა.** იუსტიციის მინისტრის შეკითხვაზე დ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეატყობინა იუსტიციის სამინისტროს, რომ საერობო სამმართველოები უკვე არჩეულნი არიან: სენაკის, ოზურგეთის, ქუთაისის, თელავის, სიღნაღის და შორაპნის მაზრებში. იუსტიციის მინისტრმა აღნიშნულ მაზრების საერობო სამართველოებს მოწერილობანი დაუგზავნა, რომ საჩქაროდ შეუდგნენ თავიანთ რაიონებში მომრიგებელ და საპატიო მოსამართლეთა არჩევას.

✦ **სასამართლო საქმეების გადაცემა** იუსტიციის მინისტრის განკარგულებით ტფილისის სამოსამართლო პალატამ ადერბეიჯანის წარმომადგენელს გადასცა განჯისა და ბაქოს საოლქო სასამართლოების საქმეები.

✦ **გამოძიება.** ტფილისის საოლქო სასამართლოს წევრმა ი. კობიაშვილმა იუსტიციის მინისტრს წარუდგინა მოხსენება ამბროლაურისა და სოხუმის საქმეების გამოძიების შესახებ.

✦ **ქართველ ლტოლვილთა დახმა-**

ლება. დღეს ყარაიაზისკენ მიემგზავრება პირველი ჯგუფი ქართველ ლტოლვილებისა, რომელნიც უნდა დასახლდნენ ყარაიაზის ველზე, ამ ჯგუფს თან მიჰყვება მთავრობის რწმუნებული და მიწის მზომელი. მეორე ჯგუფი ლტოლვილებისა გაიგზავნება ამ დღეებში.

◆ **შაქარი და ჩაი ლტოლვილთათვის.** ქართული საქველმოქმედო საზოგადოება შინაგან საქმეთა სამინისტროს სთხოვს, მიეცეს მას 150 ფუთი შაქარი 25 გირვანქა ჩაი ლტოლვილთათვის დასარიგებლად.

◆ **პოლკოვნიკი კორელკოვი.** როგორც ბორჩალოდან იუწყებიან, სომხების ჯარს ჰმეთაურობს ცნობილი პოლკოვნიკი კარლიკოვი, რომელიც ალბულალში ბუნტს აწყობდა და მას, როგორც პროვოკატორს ჩვენი მთავრობა დასაჭერად დაეძებდა.

◆ **ნავთი სიღნაღისთვის.** სიღნაღის ქალაქის თვითმართველობა გზათა მინისტრს სთხოვს, დაეთმოს სიღნაღს 2 ვაგონი ნავთი და 1 ვაგონი მაზუთი.

◆ **ქურდობა.** ოქტომბრის 26-ს ღამით, ალიხანოვის საწყობიდან მოიპარეს 60 ფუთი შაქარი.

◆ **იკვლელობა.** ოქტომბრის 27-ს ჩერქეზიშვილის ქუჩაზე იპოვეს ტომარი რომელშიაც აღმოჩნდა დაჭრილი ადამიანის ფეხები. ფეხები მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ **გვამი.** ოქტომბრის 27 ს პირველ ლაზარეთის ქუჩაზე იპოვეს ვინმე აბაზაშვილის გვამი.

◆ **ხოლერა.** უკანასკნელ ხანს ტფილისში ხოლერა ძლიერ შემცირდა. 27-ს და 28 ოქტომბერს ქალაქის საავადმყოფოში არავინ მიუყვანიათ. ძველ ავადმყოფთაგან მორჩა და გამოეწერა 4. ამ ჟამად საავადმყოფოში 27 ხოლერიანი და 6 ეჭვით ავადმყოფი წევს.

◆ **ხამძიმრის დეპეშა.** მოგვივიდა შემდეგი დეპეშა: თავზარდაცემულნი ქუთაისის მსახიობნი დავსტირით უდროოდ დაკარგულ მსახიობის ივანიძის ცხედარს. ხონელი, მურუსიძე, გომელაური, შაპარაძე, ჩხაქვაძე, ნემო, ქორიძე, ჩხეიძე, ყალაბეგიშვილი, ლოლობერიძე, სარელი, ლამბაშიძე.

◆ **საქართველოს იურიდიულ საზოგადოების** წესდება წარედგინა დასამტკიცებლად ტფილისის ოლქის სასამართლოს. წესდებაზე ხელი აქვს მოწერილი, როგორც დამფუძნებელ წევრთ, იუსტიციის მინისტრს შ. ალექსი-მესხიშვილს, მის ამხანაგს გრ. ივ. გველესიანს, ტფილისის სასამართლო პალატის უფროსს თავმჯდომარეს მ. მღვდლიშვილს და სხვათა.

◆ **კოოპერატივ „დახმარების“** წლიური კრება გაიმართა ოქტომბრის 19-ს საღამოს 6 საათზე სამეურნეო ბანკის დარბაზში. დამტკიცებულ იქმნა 1917 წლის ანგარიში და 1918 წლის ხარჯთ აღრიცხვა. აირჩიეს გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრნი. გამგეობაში არჩეულ არიან: ვ. პ. გორდეზიანი, გ. თ. ჟორდანია, ირ. გრ. თაზიშვილი, კ. დგებუაძე და ზ. ორჯონიკიძე. სარევიზიო კომისიაში პართენ ალ. გოთუა ნიკ. დანდუროვი და ფ. წულუკიძე.

◆ **პასპორტის დაკარგვა** დავკარგე მუდმივი პასპორტი № 217 მნახველს ვთხოვ მოიტანოს სოც.-ფედ. პარტიულ კლუბში, რისთვისაც მიიღებს შესაფერ ჯილდოს ნიკოლოზ ოქროშიძე.

◆ **სპირიდონ ჩომახიძე** ამით აცხადებს, რომ მან დაკარგა 25 ოქტ. გოლოვინის პრ. საფულე, პიროვნების მოწმობა, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიული ბარათი კავკასიის ბანკის ჩეკი ათასი მან. ვარვარა ალ. ვაჩნაძის მიმდინარე ანგარიშიდან. ექვსასი მანეთი ფული და სხვა ქაღალდები

მპოვნელს სთხოვს ფული დაიტოვოს ქაღალდები და ჩეკი დაუბრუნოს შემდეგი მისამართით: ერმოლოვის ქუჩა, № 9 გარეშე საქმეთა სამინისტრო.

◆ **ქართული სატეხნიკო საზოგადოება.** ამ დღეებში მოხდა ქართული სატეხნიკო საზოგადოების წლიური კრება, რომელზედაც არჩეულ იქმნა გამგეობა შემდეგი შემადგენლობისა: ინჟ. გ. გედევანიშვილი (თავმჯდომარედ), ინჟ.-ტეხნოლოგი ბ ჭიჭინაძე (თავმჯდ. ამხ), ინჟ.-ტეხნ. ვ. კაკაბაძე (მდივ.), ინჟენერმექ. გრ. გვერდწითელი (ხაზინ.), სამთო ინჟ. ივ. ყიფშიძე, გზათა ინჟ ნ. გვარამაძე. ინჟ. ტეხნ. ს. ფირალაშვილი, ინჟ-ტეხნ. პ მამრაძე და ინჟ.-მეტალ. ნ. კორინთელი; სარევიზიო კომისიაში ინჟ.-მექ. ვ. კანდელაკი, ინჟ.-ტეხნ ირ. ბურჯანაძე და ტეხნიკი პ. ჭკუასელი. ახალი გამგეობა უკვე შეუდგა სამოქმედო გეგმის შემუშავებას. საზოგადოების საქმეების გამო მოლაპარაკება შეიძლება ინჟ, ვ. კაკაბაძესთან—დიდი მთავრის ქ. № 70, ტელ. 10—43.

◆ **სკამები ქუჩებში.** ქალაქის გამგეობამ, მილიციის უფროსის წინადადებით, დაადგინა ტფილისის ქუჩებიდან სრულიად აიღონ სკამები, ვინაიდან ამ ადგილებთან ბნელი ელემენტები იკრიბებიან ხოლმე.

◆ **ქერი.** ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა გორის კოოპერატიულ კავშირისაგან შეისყიდოს ქერი ფუთი 100 მანეთობაზე

◆ **შვეიცარიელთა კონსული ჩვენში.** მთავრობამ შვეიცარიელთა ეროვნულ საზოგადოებას ნება დართო კავკასიაში მცხოვრებ შვეიცარიელთა ინტერესების დაცვისა ხოლო ამ საზოგადოების წარმომადგენელს რობერტ დე-რიას კონსულის უფლებები მისცა.

◆ **შაქრის გაცვლა ხორბალზე.** ქალაქის გამგეობა დასთანხმდა ახმედოვის წინადადებას შაქრის ფხვნილის ხორბალზე გაცვლის შესახებ. ხორბალსა და შაქარზე საბაზრო ფასები იქნება დაწესებული.

◆ **ქართველ ლტოლვილები რუსეთიდან.** ფოთის კომენდანტი გზათა მინისტრსატყობინებს, რომ რუსეთიდან ლტოლვილი ქართველები უმეტესად ფოთში მოდიან სრულიად უსახსროდ, ისე რომ პურის ფულიც არ მოეპოვებათ და უკიდურეს გაჭირვებას განიცდიანო კომენდანტი სთხოვს გზათა მინისტრს ნება მიეცეს მას, რათა სამგზავრო მატარებელს მოაბას ხოლმე მეოთხე კლასის ვაგონი მათ გამოსასტუმრებლად.

◆ **შეცდომის გასწორება** გუშინწინდელ გაზეთში დაბეჭდილ წერილ „სამეგრელოში“ დაბეჭდილია: იოსებ კვარცხალაია. უნდა იყოს: იოსებ კვარაცხელია. პარტიულ ცხოვრებაში შაბათს შეცდომით გაპარულა განცხადება, რომ ამხ კოტეტიშვილი პარასკევს წაიკითხავს ნაძალადევში მოხსენებასაო

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

კრება ბიუროში. ოთხშაბათს ოქტომბრის 30-ს საღამოს სრულ 7 ს. მოხდება ტფილისში მცხოვრებ წევრთა საერთო კრება. წაკითხული იქნება მოხსენება მიმდინარე მომენტზე.

კრება კუკიაში. ხუთშაბათს ოქტომბრის 31-ს საღამოს 7 ს. გაიმართება კუკიაში მცხოვრებ წევრთა კრება. მოხსენებას მიმდინარე მომენტზე წაიკითხავს ამხ. ვან კოტეტიშვილი.

ამხანაგებისთვის კრებაზე დასწრება სავალდებულოა. კრება გაიმართება ყოფილ სასულიერო სასწავლებლის შენობაში ჩერქეზიშვილის ქუჩა.

კრება ნაძალადევში. პარასკევს ნოემბრის 1-ს საღამოს 7 საათზე დანიშნულია ნაძალადევში მცხოვრებ ამხ კრება. მოხსენებას წაიკითხავს ამხ. შალვა ნუცუბიძე.

იარაღის ნებართვა. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მებრძოლთა რაზმის საბჭო აცხადებს თავისი რაზმელთა საყურადღებოდ, რომ იარაღის ტარების მოწმობები მიცემული საბჭოს მიერ ოქტომბრის 3-დან გაუქმებულია. ახალის მიღება შეიძლება პარტიულ ბიუროში საბჭოს კანცელარიაში 6 საათ 9 საათ. ხოლო კვირას 11 საათ. 2 საათამდი.

მოწერილი ამბები

სოფ ახალგორი. (დუშეთის მაზრა) აქაც, როგორც ყველგან, სიძვირე და უშოვნელობაა, მეტადრე კი ტანისაცმლისა. ამ მხრივ ხალხი დიდ ზოგვას და თავის დაჭერას განიცდის. გახშირდა საქონლის ქურდობაც. ასეთ დროს დაგვიძვირდა ვინმე მიუდგომელი მეთაური და მოსაუბრე ხალხში. მართალია გვევლინებიან შიგა და შიგ ასეთების სახით, მაგრამ, სამწუხაროდ, ახალქერქის ქვეშ ძველი ჰანგის ვაჟბატონები არიან და იმათ საერთო არა აქვთრა საზოგადო მოღვაწე გულშემატკივრობასთან ამათ არა სწამთ ის მუშაკი მუშაკად, რომელიც ამათ ბანაკს არ ეკუთვნის; და თუ ამათი წრისაა რწყილსაც აქლემად გაბდიან! ამ ნიადაგზე სოფ. ახალგორში ალაგი ჰქონდა შემდეგ სურათს; მობრძანდა ბატონი ურუშაძე ამ ჯერად, როგორც ინსტრუქტორი წინასწარი საერობო არჩევნების მოსაწყობად. დაბინავდა რაიონის კომისართან მეორე დღისათვის პირველის დავალებით ამ უკანასკნელმა მოიწვია სოფლურად ეგრედწოდებული არჩეული კაცები და ნაცვლები, რომლებთანაც პირდაპირი დავალების განმარტების შემდეგ ირჩევს ეგრედწოდებულ გლეხთა საბჭოს და ეს ხდება გარეშე საზოგადოების ყრილობისა და საზოგადოების კომისრისა. (რადგანაც უკანასკნელი რწმენით ს.-ფედერალისტია.) ამ საბჭოში ცხადია შეიყვანდა, ცნობილ თავისიანებს. ამ დღიდან, თურმე, ამ წრემ გადასწყვიტა ს.-ფედერალისტი კომისარის გადაყენება და მთელი კვირა ხალხში ამაზედ ეწეოდნენ საუბარს. ამ ვარემოებას ხელს უწყობდა, თვით რაიონის კომისარიც. სხვათა შორის ამათი დაძაგრული დამოკიდებულობის მიზეზითაც, და აი შემდეგი კვირისათვის ოქტომბრის 13-ს რაიონის კომისრის განკარგულებით (ალბად ზევიდან ნებართვის მიხედვით) ხდება საზოგადოების კრება და საქმარისად მრავალ რიცხოვანიც. ამ კრებას ვერ ესწრობა თვით საზოგადოების კომისარი ავადმყოფობის გამო. ამ კრებას შესაფერისად გაუმასპინძლდა ბატონი ურუშაძე, რომელიც ცდილობდა, რასაკვირველია საზოგადოების კომისარის გაშავებას და რომ ვერ იპოვნიდა კომისარზე თუნდ მცირე ლაქა იმის ნაცვლად აღნიშნა ის, რომ ეს კომისარი ვერ არის „სტროგი“ ან კიდევ მთელი დღეობით არ არის კანცელარიაში ამათ შემდეგ სიტყვით შეხვდა თვით რაიონის კომისარი, რომელმაც ამავე შინაარსით დაასურათა საზ. კომისარი და საზოგადოებას ავალებდა გამოეცვალათ, მაგრამ რა მოხდა—ამათ სამწუხაროდ და გასაოცრად: ეს საზოგადოება წინააღმდეგ ჩვეულებრივი მოვლენისა ამ ჯერად არ გამოდგა ამათი გუნებისა—და ყველამ გარდა თითო-ოროლა ნაამაგარისა, ერთხმად შესძახ წინააღმდეგ, რომ ამ კომისარზე კარგი ჩვენ არ გვინდა, ან ეგ იყოს, ან არავინაო. ასე ახმაურდა ხალხი; მხოლოდ, როცა ხალხს ვიღამაც გააგებინა, რომთვით კომისარს რამდენჯერმე ჰქონდა ნათხოვნი სადაც ჯერ არს სამსახურიდან დათხოვნაზე და ეხლაც იმისი სურვილია, რადგან ეხლაც ავადმყოფიაო; მხოლოდ მაშინ შეურიგდა ამ კითხვას ხალხი და ცნობილმა საზოგადო მზრუნველებმა ხელად წამოაყენეს თავისი კანდიდატები, რომელთა შორის ამოირჩიეს ვინმე მამუკაშვილი.

კარგი იქნება თუ შიგა და შიგ მოგვევლინება სათანადო უფლებით შემოსილი პირი: მაზრის კომისარი იქნება ეს თუ სხვა ვინმე, რასაკვირველია არა პარტიული ცალმხრივობით გატაცებული, რომელიც მიუდგომლად გამოჰკითხავდეს საზოგადო კრებას თავის გულნადებს და შესაფერს დარიგებას მისცემდეს. ეს საჭიროა, ვინაიდან საზოგადოებაში დრო და დრო მრავალი საჭირბოროტო კითხვები იკრიფავს თავს; ამასთან, შესაძლოა, ბევრი საბუთიანი უკმაყოფილობაც ალაგობრივ მოხელეებზე, ამას კი გზის მიცემა უნდა; საჭიროა თვით ალაგობრივი კომისარების საქციელის გასაცხრილად, დასაფასებლად. იმედია ჩვენი მთავრობა, როგორც დემოკრატიული, არ დაადგება ძველ წესსა და ჩვეულებრივ არ იხელმძღვანელებს პროვინციიდან გამოგზავნილ ოფიციალურად—„Все обстоитъ благополучно“.

ამასთანავე ვთხოულობთ გამოირკვეს: აქვს თუ არა ბატონ ურუშაძეს გარეშე საზოგადო კრებისა და საზოგადოების კომისრისა აირჩიოს საგლეხო საბჭო?

ბატონი ურუშაძე თავისი საქციელით თავისა ბაში-ბუზუკებთან ერთად ალ. კომისარის წინააღმდეგ უცხადებს თუ არა აშკარა უპატივცემლობას, უფრო მეტი დევნას სოც-ფედერალისტურ პარტიას?

ამასთან რა კითხვების გადაწყვეტა შეუძლიან საზოგადო კრებას და უფლება აქვს თუ არა საზოგადოებას მოეთხოვნა რაიონის კომისრის მწერლის დათხოვნა და შესრულდა ეს თუ არა?

რაში გამოიხატება საზოგადოების კომისრის უფლება და დამოუკიდებლობა რაიონის კომისართან, ვინაიდან? დღეს ეს სრულიად გამოურკვეველია, ყველა თავისებურათა ხსნის, რის შეხედვითაც საპატიოც არის და არა საპატიოც სოფლის კომისრის თანამდებობა. ამას ანგარიშს უწევს და გაუწევს ყოველი ინტელიგენტი საზოგადოების სასამსახუროდ გამზადებული.

მეთვალყურე.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

ექიმი ზ. ა. [illegible] მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118.

ექიმი მრევლიშვილი მასწავლებლად ნამყოფი კიევის ქალაქის საბებიო სასწავლებელში და ინტერნად კიევის ქალაქის საავადმყოფოს მიიღებს საბებიო საშვილოსნო ავადმყოფ 4—6 საათზე კვირის გარდა ნიკოლოზის ქუჩა № 22 ვორონცოვის ძეგლის ახლო. 2108

ექიმი ლ. ა. ხარაძიძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო. 2105

ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—6 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, საბებიო და საშვილოსნო სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვინის აფთიაქის გვერდით. 908

ექიმი ნ. ი. ზურიშვილი. მიიღება ვენერიული საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირობით მხოლოდ დილ მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ № 34. 301

ექიმი ბ. მ. მუხაძე იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ. საღამოს 5—6 ს-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 87, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ. სახლი სვანიშვილისა, ტელეფ. 5—77. 1030

ექიმი ქ. ხონი სპირიდონ დიმიტრის ძე ჯალაღანია. იღებს ავად. დილის 9—12 საათამდე. მისამართი: მათხოვის ქ. საკუთარი სახლი. 2090

ექიმი ქალიხა კონსტანტინე არდაზიანი განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 გქიმი არდაზიანის ბინა. 1218

ექიმი ქალი რ. ბ. შიშლო.-ხაბაშვილი მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაბებოთ დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ყოფის ძოვდნის ახლო ტელ. 9—26. 6087

ექიმი დ მიტრი იოსების ძე ჟორდანია დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება, შინაგანი, ხრონიკული მალარია, სისხლნაკლებობა, ვენერიული, ხრონიკული ტრიპერი, სიფილისი და მის შედეგები, შეშხაპუნება 606—914. საღამოს 5—7 ს. მისამართი გორის ქუჩა № 6. დიდიბე ტელ. 104. 2040

ექიმი ნ. ი. მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მასაჟი. მისამართი მელიქოვის ქ. № 11. 1128

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი ბ. ზ. მეჯრაბიანცი
ჩამოვიდა და განაახლა. შინაგან ავადმყოფობა—ძლექი და გულისა. ახალი რენტგენ-ელექტრო-კაბინეტი. გამოკვლევა და წამლობა სხივებით, თავის დეში ვენის ტიპისა, დიდი ხოლონოიდი, განსაკუთრებული ხაკადები დ'არსონვალისა ფილტვების სნეულებისათვის, გულის ავადმყოფობისა, ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 6—8 ს., ბებუთოვის ქ. № 28, ტელ. № 7—92. 1340

თვალის სამკურნალო მუდმივი სახოლით მეიმ დოჩხინისა
რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 62

ექიმი ი. ძ. აბაკელია. შინაგანი ავადმყოფობა, განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$—6 საათამდე. პეტრე დიდის ქ. № 26. ტელ. 5—86. 1270

ექიმი პავლე არდაზიანი შინაგანი და ბავშვების ავადმყოფების მიღება ყოველდღე 11—2 ს. დილით და 5—7 ს. საღამოთი.
მელიქოვის ქ. № 12. 1060

ექიმი ვ. მუსხელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

რენტგენის და ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი
წითელი ჯვრის სარენტგენო კაბინეტის ყოფილ გამგის და მიხეილის საავადმყოფოს ექიმის ა. ლევინშტეინისა მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს. სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), გულისა, კუჭისა და ჭაჭებისა მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. ღარიბებს რიგს გარეშე იღებენ. კრილოვის ქ. № 6, ბ. 3. მიღება 4—8 საათ., გარდ. კ ისა. ტელეფონი 12—46. 2029

კერძო სამკურნალო
ექ. ა. დ. ალექსიძის
მომსვლელ ავადმყოფთათვის ავადმყოფებ იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები
ბ. მ. რეკვავა—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს.
მ. მ ტყემალაძე—კანის და ვენერიული, სიფილის. 606—914 (ერლიხ) 11—12 ს.
ი. ა. ლაზარევი—საბებიო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.
ნ. თ. ანდრონიკაშვილი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.
ა. დ. ალექსიძე—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.
მ. ნ. იმხნელი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.
ხ. გ. ჯაფარიძე—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.
ი. ა. ხათრიძე—ბაქტერიოლოგი—გამგე სამკურნალოს ლაბორატორიისა სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვა).
ელექტრიზაცია, მასაჟი, აბაზანა და ნემსების გაკეთება.
სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგი ექიმი.
მისამართი: ირაკლის ქუჩა № 5, ეგზარხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—49.
სამკურნალოში ყოველთვის იმყოფება მორიგი ექიმი. 2178

ექიმ ნაგახარდიანის პირველი კერძო სამკურნალო.
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:
„606“ და „914“ 11—12 ს.
ნ. ა ნაგახარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
ე. ი. მაზნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.
ბ. მ. აგახაროვი: 10—12 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
აველიხიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 12—1 ს.
დ. ი. ჯაფარიძე: 10—11 ს. ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
ხ. გ. ავეტიხიანი 9—11 საკუთარი ბავშვთა ავადმყ.
ი. ა. ტერ-გრიგორიანცი, 1—2 ს. შინაგანი.
საღამოთი:
ხ გ ავეტიხიანი: 11—12 ს. სპეციალური ბავშვთა სნეულებანი.
ა. ნ. იხაკიანი: 6—7 ½. ქალური-ავადმყოფობანი და ქირურგიული:
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნაგახარდიანი.

შეჯიბრება
ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ ხუთშაბათს, ოქტომბრის 31-ს, შუადღის 12 ს. გამგეობის ბინაზე მოხდება შეჯიბრება ტფილისის მ-9 უბანში მდებარე ქალაქის სახლის იჯარის გასაცემად (რეუტოვის ქ. № 15).
პირობები და ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება საიჯარო და სამიწო განყოფილების კანცელარიაში მუშაობის დროს. 1383

სოციალისტურ-ფედერალისტური პოლიტიკური და ხალ. ლიტერატურო გაზეთი
„სახალხო საქმე“
ფასი: თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.